## სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## დადგენილება №25
2023 წლის 20 დეკემბერი

ქ. სიღნაღი

### სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 91-ე მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 78-ე მუხლის მეორე პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1**

დამტკიცდეს სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი დანართის შესაბამისად.

**მუხლი 2**

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის №27 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 23/12/2022, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 190020020. 35.168.016365).

**მუხლი 3**

დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — დავით ჯანიკაშვილი

დანართი

### სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი

### თავი I
### სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები

**მუხლი 1. სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი**

განისაზღვროს სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2022 წლის ფაქტი | 2023 წლის გეგმა | | | 2024 წლის პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები | 27,415.5 | 28,047.1 | 12,787.5 | 15,259.6 | 24,258.6 | 6,843.1 | 17,415.5 |
| გადასახადები | 12,035.9 | 13,466.4 | | 13,466.4 | 16,284.9 | | 16,284.9 |
| გრანტები | 14,090.4 | 13,873.1 | 12,787.5 | 1,085.6 | 7,113.7 | 6,843.1 | 270.6 |
| სხვა შემოსავლები | 1,289.2 | 707.6 | | 707.6 | 860.0 | 0.0 | 860.0 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ხარჯები** | **11,536.4** | **15,112.6** | **307.8** | **14,804.8** | **16,531.2** | 0.0 | **16,531.2** |
| შრომის ანაზღაურება | 2,542.9 | 3,290.4 | | 3,290.4 | 3,550.2 | 0.0 | 3,550.2 |
| საქონელი და მომსახურება | 1,588.7 | 2,176.1 | 307.8 | 1,868.3 | 2,418.3 | 0.0 | 2,418.3 |
| პროცენტი | 97.1 | 130.9 | | 130.9 | 60.6 | 0.0 | 60.6 |
| სუბსიდიები | 5,825.3 | 7,526.8 | | 7,526.8 | 9,107.3 | 0.0 | 9,107.3 |
| **გრანტები** | **105.7** | **112.0** | | **112.0** | **98.0** | 0.0 | **98.0** |
| სოციალური უზრუნველყოფა | 640.8 | 820.7 | | 820.7 | 865.1 | 0.0 | 865.1 |
| **სხვა ხარჯები** | **735.9** | **1,055.7** | | **1,055.7** | **431.7** | 0.0 | **431.7** |
| **საოპერაციო სალდო** | **15,879.1** | **12,934.5** | **12,479.7** | **454.8** | **7,727.4** | **6,843.1** | **884.3** |
| **არაფინანსური აქტივების ცვლილება** | **16,237.7** | **21,179.9** | **17,493.0** | **3,686.9** | **7,436.5** | **6,843.1** | **593.4** |
| ზრდა | 16,925.4 | 24,220.9 | 17,493.0 | 6,727.9 | 10,671.5 | 6,843.1 | 3,828.4 |
| კლება | 687.7 | 3,041.0 | 0.0 | 3,041.0 | 3,235.0 | 0.0 | 3,235.0 |
| **მთლიანი სალდო** | **-358.6** | **-8,245.4** | **-5,013.3** | **-3,232.1** | **290.9** | **0.0** | **290.9** |
| **ფინანსური აქტივების ცვლილება** | **603.9** | **-8, 491.6** | **-5,013.3** | **-3,478.3** | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| ზრდა | 650.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| კლება | 1,254.0 | 8,491.6 | 5,013.3 | 3,478.3 | 0.0 | 0.0 | |
| ვალდებულებების ცვლილება | -245.3 | -246.2 | | -246,2 | -290.9 | 0.0 | -290.9 |
| ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| კლება | 245.3 | 246.2 | | | 290.9 | 0.0 | 290.9 |
| **ბალანსი** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** |

**მუხლი 2. სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება**

განისაზღვროს სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2022 წლის ფაქტი | 2023 წლის გეგმა | | | 2024 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | მათ შორის | | | მათ შორის | |
| | სულ | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | გამოყოფილი ტრანსფერები | | | გამოყოფილი ტრანსფერები | |
| **შემოსულობები** | **28,103.2** | **31,088.1** | **12,787.5** | **18,300.6** | **27,493.6** | **6,843.1** | **20,650.5** |
| შემოსავლები | 27,415.5 | 28,047.1 | 12,787.5 | 15,259.6 | 24,258.6 | 6,843.1 | 17,415.5 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 687.7 | 3,041.0 | 0.0 | 3,041.0 | 3,235.0 | 0.0 | 3,235.0 |
| ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით) | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ვალდებულებების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **გადასახდელები** | **12,035.9** | **13,466.4** | **0.0** | **13,466.4** | **16,284.9** | **0.0** | **16,284.9** |
| ხარჯები | 11,536.4 | 15,112.6 | 307.8 | 14,804.8 | 16,531.2 | 0.0 | 16,531.2 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 16,925.4 | 24,220.9 | 17,493.0 | 6,727.9 | 10,671.5 | 6,843.1 | 3,828.4 |
| ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით) | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ვალდებულებების კლება | 245.3 | 246.2 | 0.0 | 246.2 | 290.9 | 0.0 | 290.9 |
| **ნაშთის ცვლილება** | **-603.9** | **-1,254.0** | **650.1** | **-8,491.6** | **-5,013.3** | **-3,478.3** | **0.0** |

## თავი II
## სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

### მუხლი 3. სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 27,493.6 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2022 წლის ფაქტი | 2023 წლის გეგმა | | | 2024 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | მათ შორის | | | მათ შორის | |
| | სულ | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| **შემოსავლები** | **27,415.5** | **28,047.1** | **12,787.5** | **15,259.6** | **24,258.6** | **6,843.1** | **17,415.5** |
| გადასახადები | 12,035.9 | 13,466.4 | 0.0 | 13,466.4 | 16,284.9 | 0.0 | 16284,9 |
| გრანტები | 14,090.4 | 13,873.1 | 12,787.5 | 1,085.6 | 7,113.7 | 6,843.1 | 270.6 |
| სხვა შემოსავლები | 1,289.2 | 707.6 | 0.0 | 707.6 | 860.0 | 0.0 | 860.0 |

### მუხლი 4. სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 16,284.9 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2022 წლის ფაქტი | 2023 წლის გეგმა | | | 2024 წლის პროექტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | მათ შორის | | | მათ შორის | |
| | სულ | სულ | სახელმ წიფო ბიუჯეტის ფონდე ბიდან გამო ყოფილი ტრანს ფერები | საკუთარი შემო სავლები | სულ | სახელმწ იფო ბიუჯეტის ფონდე ბიდან გამოყოფილი ტრანს ფერები | საკუთარი შემო სავლები |
| **გადასახადები** | **12,035.9** | **13,466.4** | **0.0** | **13,466.4** | **16,284.9** | **0.0** | **16,284.9** |
| დამატებული ღირებულების გადასახადი | 7,646.6 | 9,416.4 | 0.0 | 9,416.4 | 11,784.9 | 0.0 | 11,784.9 |
| საშემოსავლო გადასახადი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **ქონების გადასახადი** | **4,389.3** | **4,050.0** | **0.0** | **4,050.0** | **4,500.0** | **0.0** | **4,500.0** |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 1,357.1 | 1,400.0 | 0.0 | 1,400.0 | 1,850.0 | 0.0 | 1,850.0 |
| უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 25.4 | 15.0 | 0.0 | 15.0 | 15.0 | 0.0 | 15.0 |
| სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 2,875.0 | 2,515.0 | 0.0 | 2,515.0 | 2,515.0 | 0.0 | 2,515.0 |
| არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 131.3 | 120.0 | 0.0 | 120.0 | 120.0 | 0.0 | 120.0 |
| სხვა გადასახადები ქონებაზე | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **სხვა გადასახადები** | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

**მუხლი 5. სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები**

განისაზღვროს სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 7,113.7 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2022 წლის ფაქტი | 2023 წლის გეგმა | 2024 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| **გრანტები** | **14,090.4** | **13,873.1** | **7,113.7** |
| **გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან** | **14,090.4** | **13,873.1** | **7,113.7** |

| | | | |
|---|---|---|---|
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | 698.0 | 692.8 | 270.6 |
| **ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები** | **13,392.4** | **13,180.3** | **6,843.1** |
| რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი | 9,858.7 | 8,331.9 | 6,605.4 |
| **სოფლის მხარდაჭერის პროგრამა** | 0.0 | 340.0 | 0.0 |
| სხვა კაპიტალურ დანიშნულების გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან | 3,514.9 | 3,336.4 | 237.7 |
| სპეციალური ტრანსფერი | 18.8 | 0.0 | 0.0 |
| მაღალმთიანი დასახლების განვითარების ფონდი | 0.0 | 1,172.0 | 0.0 |

## მუხლი 6. სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 860.0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2022 წლის ფაქტი | 2023 წლის გეგმა | 2024 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| **სხვა შემოსავლები** | **1,289.2** | **707.6** | **860.0** |
| **შემოსავლები საკუთრებიდან** | **458.9** | **288.0** | **360.0** |
| პროცენტები | 364.2 | 230.0 | 300.0 |
| **რენტა** | **94.7** | **58.0** | **60.0** |
| მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 20.0 | 30.0 | 30.0 |
| შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | 74.7 | 28.0 | 30.0 |
| **საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია** | **209.3** | **132.6** | **152.6** |
| ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები | 134.8 | 60.6 | 80.6 |
| სანებართვო მოსაკრებელი | 98.8 | 30.0 | 20.0 |
| მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვებზე | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი | 0.6 | 0.6 | 0.6 |
| ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 35.3 | 30.0 | 60.0 |
| სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება** | **74.5** | **72.0** | **72.0** |
| შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან | 6.5 | 0.0 | 0.0 |
| შემოსავლები მომსახურების გაწევიდან | 68.0 | 72.0 | 72.0 |

| | | | |
|---|---|---|---|
| ჯარიმები, სანქციები და საურავები | **221.5** | **180.0** | **200.0** |
| ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| **შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები** | **399.5** | **107.0** | **147.4** |

## თავი III
## სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია

### მუხლი 7. სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 16,531.2 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2022 წლის ფაქტი | 2023 წლის გეგმა | | | 2024 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | მათ შორის | | | მათ შორის | |
| | სულ | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| **ხარჯები** | 11,536.4 | 15,112.6 | 307.8 | 14,804.8 | 16,531.2 | 0.0 | 16,531.2 |
| შრომის ანაზღაურება | 2,542.9 | 3,290.4 | 0.0 | 3,290.4 | 3,550.2 | 0.0 | 3,550.2 |
| საქონელი და მომსახურება | 1,588.7 | 2,176.1 | 307.8 | 1,868.3 | 2,418.3 | 0.0 | 2,418.3 |
| ძირითადი კაპიტალის მოხმარება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| პროცენტი | 97.1 | 130.9 | 0.0 | 130.9 | 60.6 | 0.0 | 60.6 |
| სუბსიდიები | 5,825.3 | 7,526.8 | 0.0 | 7,526.8 | 9,107.3 | 0.0 | 9,107.3 |
| **გრანტები** | **105.7** | **112.0** | **0.0** | **112.0** | **98.0** | | **98.0** |
| სოციალური უზრუნველყოფა | 640.8 | 820.7 | 0.0 | 820.7 | 865.1 | 0.0 | 865.1 |
| **სხვა ხარჯები** | **735.9** | **1,055.7** | **0.0** | **1,055.7** | **431.7** | **0.0** | **431.7** |

### მუხლი 8. სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 7,436.5 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 10,671.5

ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| პროგ. კოდი | არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით | 2022 წლის ფაქტი | 2023 წლის გეგმა | 2024 წლის გეგმა |
|---|---|---|---|---|
| **01 00** | **მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები** | **236.1** | **549.2** | **319.5** |
| 01 01 | საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა | 236.1 | 549.2 | 319.5 |
| **02 00** | **ინფრასტრუქტურის განვითარება** | **15,090.6** | **21.963.8** | **9,977.5** |
| 02 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება | 12,738.3 | 16,781.2 | 8,852.5 |
| 02 02 | წყლის სისტემების განვითარება | 48.1 | 0.0 | 0.0 |
| 02 03 | გარე განათება | 60.3 | 0.0 | 50.0 |
| 02 04 | მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია | 85.8 | 903.7 | 0.0 |
| 02 05 | კეთილმოწყობის ღონისძიებები | 1,527.1 | 587.8 | 27.8 |
| 02 08 | სოფლის პროგრამა | 227.6 | 767.8 | 0.0 |
| 02 07 | საპროეტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ექსპერტიზის ხარჯები | 358.6 | 951.1 | 720.0 |
| 02 06 | საკანალიზაციო სისტემებისა და სანიაღვრე არხების მოწყობა- რეაბილიტაციის სამუშაოები | 38.9 | 1,000.0 | 62.0 |
| | ტრანსპორტი | 0.0 | 390.0 | 0.0 |
| | შადრევნების ექსპლუატაცია | 0.0 | 27.5 | 27.5 |
| **03 00** | **დასუფთავება და გარემოს დაცვა** | **5.9** | **554.7** | **237.7** |
| 03 01 | დასუფთავება და ნარჩენების გატანა | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 03 05 | კაპიტალური დაბანდება დასუფთავებაში | 5.9 | 554.7 | 237.7 |
| **04 00** | **განათლება** | **711.7** | **591.5** | **3.8** |
| 04 01 | სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება | 36.1 | 0.0 | 0.0 |
| 04 05 | სკოლამდელი განათლების კაპიტაურლი ხარჯი | 324.8 | 222.4 | 3.8 |
| 04 03 | მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი | 1.0 | 0.0 | 0.0 |
| 04 02 | საჯარო სკოლების დაფინანსება | 349.8 | 369.1 | 0.0 |
| **05 00** | **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი** | **879.1** | **1,107.1** | **370.7** |
| 05 01 | სპორტის სფეროს განვითარება | 64.8 | 6.3 | 0.0 |
| 05 02 | სასპორტო სკოლის კაპ. ხარჯი | 814.3 | 1,100.8 | 370.7 |
| **06 00** | **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** | **7.9** | **9.3** | **0.0** |
| 06 01 | ჯანმრთელობის დაცვა | 7.9 | 9.3 | 0.0 |
| | **სულ არაფინანსური აქტივების ზრდა** | **16,925.4** | **24,220.9** | **10,671.5** |

ბ) განისაზღვროს სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 3,235.0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2022 წლის ფაქტი | 2023 წლის გეგმა | 2024 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| **არაფინანსური აქტივების ცვლილება** | **16,237.7** | **21,179.9** | **7,436.5** |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 16,925.4 | 24,220.9 | 10,671.5 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 687.7 | 3,041.0 | 3,235.0 |

**მუხლი 9. სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

განისაზღვროს სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში თანდართული რედაქციით:

| ფუნქციონალური კოდი | დასახელება | 2022 წლის ფაქტი | 2023 წლის გეგმა | 2024 წლის გეგმა |
|---|---|---|---|---|
| 7.1 | **საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება** | **3,814.5** | **5,292.0** | **5,464.6** |
| 7.1.1 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 3,621.4 | 5,036.1 | 5,300.0 |
| 7.1.1.1 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა | 3,621.4 | 4,986.1 | 5,250.0 |
| 7.1.1.2 | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა | 0.0 | 50.0 | 50.0 |
| 7.1.3 | საერთო დანიშნულების მომსახურეობა | 4.8 | 5.0 | 6.0 |
| 7.1.33 | საერთო დანიშნულების სხვა მომსახურეობა | 4.8 | 5.0 | 6.0 |
| 7.016 | ვალთან დაკავშირებული ოპერაციები | 97.1 | 130.9 | 60.6 |
| 7017 | საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადები მთავრობის სხვადსხვა დონეზე | 91.2 | 120.0 | 98.0 |
| **7.2** | **თავდაცვა** | **131.0** | **186.0** | **0.0** |
| 7.2.2 | სამოქალაქო თავდაცვა | 131.0 | 186.0 | 0.0 |
| **7.4** | **ეკონომიკური საქმიანობა** | **12,763.6** | **17,206.9** | **9,067.5** |
| 7.4 5 | ტრანსპორტი | 12,763.6 | 17,206.9 | 9,067.5 |
| 7.4 5 1 | საავტომობილო ტრანსპორტი და გზები | 12,763.6 | 17,206.9 | 9,067.5 |
| **7.5** | **გარემოს დაცვა** | **946.4** | **2,605.7** | **1,539.0** |
| 7.5 1 | ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება | 878.5 | 1,575.7 | 1,446.0 |
| 7.5 2 | ჩამდინარე წყლების მართვა | 67.9 | 1,030.0 | 93.0 |
| 7.6 | **საბინაო კომუნალური მეურნეობა** | **3,788.7** | **5,174.6** | **2,598.4** |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 7.6 1 | ბინათმშენებლობა | 507.2 | 1,585.7 | 0.0 |
| 7.6 2 | კომუნალური მეურნეობის განვითარება | 6.2 | | |
| 7.6 3 | წყალმომარაგება | 497.2 | 532.3 | 570.4 |
| 7.6 4 | გარე განათება | 702.8 | 596.4 | 938.7 |
| 7.6 6 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში | 2,075.3 | 2,460.2 | 1,089.3 |
| 7.7 | **ჯანმრთელობის დაცვა** | **62.7** | **200.0** | **270.6** |
| 7.7 4 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 62.7 | 200.0 | 270.6 |
| 7.8 | **დასვენება, კულტურა და რელიგია** | **2,403.5** | **3,271.2** | **3,117.6** |
| 7.8 1 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 1,130.8 | 1,564.7 | 976.1 |
| 7.8 2 | მომსახურება კულტურის სფეროში | 1,063.8 | 1,475.4 | 1,681.5 |
| 7.8 3 | ტელერადიომაუწყებლობა და საგამომსცემლო საქმიანობა | 5.5 | 20.6 | 40.0 |
| 7.8 4 | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა | 203.4 | 210.5 | 420.0 |
| 7.9 | **განათლება** | **3,571.8** | **4,119.4** | **3,811.0** |
| 7.9 1 | სკოლამდელი აღზრდა | 2,912.3 | 3,342.4 | 3,700.9 |
| 7.9 2 | ზოგადი განათლება | 569.9 | 676.9 | 0.0 |
| 7.9 2 3 | პროფესიული განათლება | 89.6 | 100.1 | 110.1 |
| 7 10 | **სოციალური დაცვა** | **979.6** | **1,277.7** | **1,334.0** |
| 7 10 1 | ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა | 434.8 | 606.8 | 519.0 |
| 7 10 11 | ავადმყოფთა  სოციალური დაცვა | 337.3 | 494.5 | 378.0 |
| 7 10 12 | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | 97.5 | 112.3 | 141.0 |
| 7 10 4 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 38.4 | 41.7 | 78.0 |
| 7 10 7 | სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას | 1.1 | 63.0 | 58.0 |
| 7 10 9 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში | 505.3 | 566.2 | 679.0 |
| | სულ | **28,461.8** | **39,333.5** | **27, 202.7** |

## თავი IV
## სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება

### მუხლი 10. სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის  საოპერაციო და მთლიანი სალდო

განისაზღვროს სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 290.9 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საოპერაციო სალდო 7,727.4 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2022 წლის ფაქტი | 2023 წლის გეგმა | 2024 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| საოპერაციო სალდო | 15,879.1 | 12,934.5 | 7,727.4 |
| მთლიანი სალდო | -358.6 | -8,245.4 | 290.9 |

**მუხლი 11. სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება**

| დასახელება | 2022 წლის ფაქტი | 2023 წლის გეგმა | 2024 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| ფინანსური აქტივების ცვლილება | -603.9 | -8,491.6 | 0.0 |
| ზრდა | 650.1 | 0.0 | 0.0 |
| ვალუტა და დეპოზიტი | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| კლება | 1,254.0 | 8,491.6 | 0.0 |
| ვალუტა და დეპოზიტი | 1,254.0 | 8,491.6 | 0.0 |

ფინანსური აქტივების კლება წარმოადგენს სიღნაღის მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშზე არსებულ თავისუფალ ნაშთს, რომლის გამოყენებაც მოხდება 2024 წლის განმავლობაში.

2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ბიუჯეტის ნაშთმა შეადგინა 8,491.6 ათასი ლარი, მათ შორის საკუთარი სახსრების ნაშთი 3,478.3 ათასი ლარი, ც/ბიუჯეტის წილი 5,013.3 ათასი ლარი.

**მუხლი 12. სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება**

1. განისაზღვროს სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება -290.9 ათასი ლარის ოდენობით.
2. განისაზღვროს სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 290.9 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2022 წლის ფაქტი | 2023 წლის გეგმა | 2024 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| ვალდებულებების კლება | 245.3 | 246.2 | 290.9 |
| საშინაო | 245.3 | 246.2 | 290.9 |

**მუხლი 13. სიღნაღის მუნიციპალიტეტის ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობა**

განისაზღვროს სიღნაღის მუნიციპალიტეტის ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობა 2024 წლის ბოლოსთვის არაუმეტეს 138.0 ათასი ლარის ოდენობით.

| კრედიტორი | საპროგნოზო ნაშთი 31.12.2024 |
|---|---|
| სულ მუნიციპალიტეტის ვალის ზღვრული მოცულობა | 138.0 |

| | |
|---|---|
| სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდი | 138.0 |

აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2015-2017 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას. 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის სასესხო ვალდებულებები ჯამში შეადგენს 489.5 ათას ლარს, ხოლო 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იგი იქნება 138.0 ათასი ლარი.

## თავი V
## სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები და ქვეპროგრამები

### მუხლი 14. სიღნაღის მინიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია

სიღნაღის მუნიციპალიტეტში ეკონომიკური განვითარების საწინდარი მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაა. ყოველი განხორციელებული ახალი ინფრასტრუქტურული პროექტი მუნიციპალიტეტში ეკონომიკური აქტივობის და ბიზნესის განვითარების ახალი წყაროა.
2024 წლისთვის მუნიციპალიტეტი გეგმავს რამდენიმე ახალი ინფრასტრუქტურული პროექტის დაწყებას, ასევე ძველი გარდამავალი პროექტების დასრულებას. მნიშვნელოვანი თანხები ხმარდება ასევე ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია - ექსპლოატაციას.

აღნიშნული პრიორიტეტის დასაფინანსებლად განსაზღვრულია 13,204.9 ათასი ლარი.

*ათას ლარებში*

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2024 წლის გეგმა | 2025 წლის პროგნოზი | 2026 წლის პროგნოზი | 2027 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|
| 02 00 | ინფრასტრუქტურის განვითარება | 11,577.1 | 20,928.5 | 21,650.0 | 21,990.0 |
| 02 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება | 9,052.5 | 18,000.0 | 18,500.0 | 18,700.0 |
| 02 01 01 | ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მოვლა შენახვა | 200.0 | 300.0 | 350.0 | 400.0 |
| 02 01 02 | ახალი გზების მშენებლობა | 8,852.5 | 15,000.0 | 18,150.0 | 18,300.0 |
| 02 02 01 | წყლის სისტემების განვითარება | 570.4 | 580.0 | 610.0 | 620.0 |
| 02 02 02 | კანალიზაციის სისტემის განვითრება | 93.0 | 100.0 | 110.0 | 120.0 |
| 02 03 | გარე განათების რეაბილიტაცია ექსპლუატაცია | 938.7 | 973.5 | 980.0 | 990.0 |
| 02 04 | მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება | 15.0 | 20.0 | 30.0 | 40.0 |
| 02 05 | ბინათმშენებლობა | 0.0 | 20,0 | 40.0 | 50.0 |
| 02 07 02 | შადრევნების ექსპლუატაცია | 31,7 | 40,0 | 50.0 | 60.0 |
| 02 07 03 | სასაფლაოების მოვლა-პატრონობა | 9.2 | 10.0 | 15,0 | 20,0 |
| 02 07 04 | პარკებისა და სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია | 146.6 | 155.0 | 175.0 | 200.0 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 02 08 | საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ექსპერტიზის ხარჯები | 720.0 | 720.0 | 800.0 | 850.0 |
| 02 09 | სოფლის მხარდაჭერის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები | 0.0 | 340.0 | 340.0 | 340.0 |
| 03,01 | დასუფთავების ღონისძიებები | 1,446.0 | 1,470.0 | 1,500.0 | 1,550.0 |
| 03 02 | მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა | 181.8 | 380.0 | 400.0 | 430 .0 |
| **სულ პრიორიტეტის დაფინანსება** | | **13,204.9** | **22,778.5** | **23,550.0** | **23.970.0** |

| პროგრამის დასახელება | კოდი | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | **02 01** | | **9,052.5** |
| **პროგრამის აღწერა** | პროგრამა გულისხმობს გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ახალი გზების მშენებლობას და არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებას, სატრანსპორტო კვანძების რეაბილიტაციას, ასევე ყურადღება ექცევა რეაბლიტირებული გზების მოვლას, რაც გულისხმობს ორმულ შეკეთებებს, საუბნო გზებისა და სავარგულებთან მისასვლელი გზების მოხრეშვას, ქალაქის ქუჩების ზოგიერთი ნაწილი საჭიროებს კაპიტალურ რეაბილიტაციას, ასევე მიმდინარე შეკეთებით სამუშაოებს ითხოვს რეაბილიტირებული ქუჩები და გზები, რათა უსაფრთოდ გადაადგილდეს, როგორც ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალება, ასევე ქვეითად მოსიარულეები. | | |
| **მიზანი და მოსალოდნელი შედეგი** | პროგრამის მიზანია საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება, ტრანსპორტისა და მოსახლეობის შეუფერხებელი გადაადგილება. შეიქმნება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგზაო ინფრასტრუქტურა. რაც ხელს შეუწყობს, როგორც ადგილობრივ მაცხოვრებლებს, ასევე ჩამოსულ ტურისტებს ტრანსპორტით და ფეხით გადაადგილებისას შეექმნათ მაღალი კომფორტი. განვითარდება მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისი და ტურისტული ინფრასტრუქტურა. | | |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | გზების მოვლა-შენახვა | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 02 01 01 | | | **200.0** |
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური** | სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური | | |
| **ქვეპროგრამის აღწერა** | • ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლებში საუბნო გზების მოასფალტება, სანიაღვრის, ტროტუარების მოწყობა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებთან მისასვლელი გზების მოწესრიგება.<br>• დაფინანსება მოხდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან. | | |
| **ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი** | გაუმჯობესდება მუნიციპალიტეტის საგზაო ინფრასტრუქტურა. რეაბილიტირებული იქნება ქალაქის და სოფლის ცენტრალური და შიდა საუბნო გზა. რეაბილიტირებული გზებით ისარგებლებს ადგილობრივი მოსახლე და მუნიციპალიტეტის სტუმარი. სოფლის მოსახლეობას გაუადვილდება სავარგულებისკენ გადაადგილება და მოსავლის დაბინავება. ასევე მარტივად და სწრაფად შეძლებს სხვადასხვა სერვისების მიღებას. | | |

| | |
|---|---|
| | |

| კოდი | ქვე პროგრამის დასახელება | ახალი გზების მშენებლობა | 2024 წლის დაფინანსება |
|---|---|---|---|
| | | | ათას ლარში |
| 02 01 02 | | | 8,852.5 |
| როგრამის განმახორციელებელი სამსახური | სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | პროგრამა ითვალსიწინებს ადგილობრივი მნიშვნელობის გზების (მათ შორის ხიდების, ტროტუარების და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების) კაპიტალურ შეკეთებას, მუნიციპალიტეტში ახალი გზების მშენებლობას, პროგრამის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი, ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრები უმეტესწილად ხმარდება გზების პროექტირებასა და დაფინანსებული სამუშაოების შევსებას პროცენტულად, რაც არის გათვლილი. 2024 წლისთვის იგეგმება ისეთი სამუშაოები, რომელიც დააკმაყოფილებს საგზაო სტანდარტებს, გზებს ექნება სანიაღვრე არხები, რაც ხელს შეუწყობს წყლის გადინებას და ააცილებს მოსახლეობას ნალექით წარმოქმნილ პრობლემას, სიღნაღის მუნიციპალიტეტში საჭიროებიდან და მოსახლეობის მოთხოვნიდან გამომდინარე იგეგმება ახალი გზების მშენებლობა, არსებული გზების მაღალი ხარისხით შენარჩუნება, მგზავრთა გადაადგილების დროის შემცირება, ტურიზმის ხელშეწყობა, მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. | | |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | მუნიციპალიტეტის სოფლებში და ქალაქად მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება, მოწესრიგებული საგზაო ინფრასტუქტურა აადვილებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან მოსავლის ადვილად გამოტანას. | | |

| კოდი | ქვე პროგრამის დასახელება | მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება | 2024 წლის დაფინანსება |
|---|---|---|---|
| | | | ათას ლარში |
| 02 04 | | | 15.0 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა | პროგრამა ითვალისწინებს სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ მაღაროდან არქიმედეს კლინიკამდე მგზავრთა გადაყვანას. | | |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | მოსახლეობისთვის ამ გზით უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნა. | | |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | წყლის სისტემების განვითარება | 2024 წლის დაფინანსება |
|---|---|---|---|
| | | | ათას ლარში |
| 02 02 | | | 570.4 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერია | | |
| | წყლის სისტემის რეაბილიტაციის ქვეპროგრამის ფარგლებში 2024 წელს ბიუჯეტით იგეგმება წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაციის და ექსპლუატაციის | | |

| | |
|---|---|
| პროგრამის აღწერა | სამუშაოები. წყლის სისტემების ექსპლოტაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად.<br>წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შედგება 1 ქვეპროგრამისაგან: სასმელი წყლის სისტემების ექსპლოტაცია და განვითარება. პროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუბსიდია და საკუთარი შემოსულობები. |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | რეაბილიტირდება წყლის სათავე ნაგებობები და წყალმომარაგების ქსელები, მოეწყობა ახალი ჭაბურღილები, გაიზრდება წყლის დებიტი და გაუმჯობესებული წყალმომარაგებით ისარგებლებს დაახლოებით 22500 მოსახლე. გაუმჯობესდება წყალმომარაგება მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობისათვის |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია | 2024 წლის დაფინანსება |
|---|---|---|---|
| | | | ათას ლარში |
| 02 02 01 | | | 570.4 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | ა(ა)იპ - ,,კომუნალური 1“ | |
| ქვეპროგრამის აღწერა | | ქვეპროგრამა ითვალისწინებს სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოებს, მომსახურებას, დაზიანებების აღმოფხვრას, მოსახლეობის წყლით უზრუნველყოფას, საჭიროების შემთხვევაში წყლის ტუმბოებისა და ტუმბოს ძრავების შეძენას. პრიორიტეტულია მოსახლეობის სასმელი წყლის უზრუნველყოფა წლის ნებისმიერ პერიოდში. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება და ფინანსდება შემდეგი ღონისძიებები : - მწყობრიდან გამოსული მილების შეკეთება და ახლით ჩანაცვლება. საჭიროების მიხედვით წყლის ტუმბოების და ტუმბოს ძრავების შეძენა და მონტაჟი. პროგრამის მიზანია:<br>- მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობდეს სასმელი წყლის 8 საათიანი მიწოდება;<br>- მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნდეს შეუფერხებლი წვდომა და იღებდეს სასმელ წყალს;<br>- წყლის სისტემების ექსპლოტაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად.<br>წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შედგება 1 ქვეპროგრამისაგან: სასმელი წყლის სისტემების ექსპლოტაცია და განვითარება. პროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუბსიდია და საკუთარი შემოსულობები.<br>წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შინაარსის მიხედვით არის მომსახურების (წყლის სისტემის ექსპლოტაცია), რაც შეეხება მის ხანგრძლივობას, იგი მომსახურების ნაწილში არის მუდმივმოქმედი პროგრამა. | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | | მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში მოქმედებს სასმელი წყლის მიწოდების გრაფიკი;<br><br>წყლის სისტემების ექსპლოტაცია მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილია დროულად. | |

| კოდი | პროგრამის დასახელება | გარე განათება | 2024 წლის დაფინანსება |
|---|---|---|---|
| | | | ათას ლარში |
| 02 03 | | | 938.7 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | ა(ა)იპ ,,კომუნალური 1“ | |
| | | ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისათვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათების ქსელის | |

| | |
|---|---|
| პროგრამის აღწერა | ფუნქციონირებას. პროგრამის ასიგნებების მნიშვნელოვანი ნაწილი (დაახლოვებით 500.0 ათასი ლარი ყოველწლიურად) ხმარდება მოხმარებული ელექტროენერგიის ანაზღაურებას. პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან, ესენია:<br><br>1. გარე განათების ქსელის მოწყობა, ელ. ენერგია;<br><br>2. გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია - კაპიტალური დაბანდებები გარე განათების მოწყობა.<br>გარე განათების პროგრამა შინაარსის ტიპის მიხედვით არის, როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული ხასიათის, ასევე - მომსახურების. კაპიტალური ნაწილი მოიცავს გარე განათების ქსელის გაფართოება-გაუმჯობესების ღონისძიებებს, ხოლო მომსახურების ნაწილი - გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაციას (მ.შ. მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურებას).<br>ხანგრძლივობის მიხედვით, ექსპლოტაციის ნაწილში პროგრამა არის მუდმივმოქედი, ხოლო ინფრასტრუქტურულ ნაწილში - მრავალწლიანი.<br>2024 წლის ბიუჯეტიდან ასიგნებები გამოყოფილია მხოლოდ გარე განათების ქსელის ექსპლოტაციის ქვეპროგრამაზე. ექსპლოტაციის ხარჯების დაფინანსება ხორციელდება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან, ხოლო კაპიტალური დანახარჯები უმეტესწილად გაიწევა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერით. |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა. |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | გარე განათების ქსელის მოწყობა ელ.ენერგია | 2024 წლის დაფინანსება |
|---|---|---|---|
| | | | ათას ლარში |
| 02 03 01 | | | 520.0 |
| ქვეპროგრამის განმა<br><br>ხორციელებელი სამსახური | | სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერია | |
| ქვეპროგრამის აღწერა | | დასახლებული პუნქტების გარე განათების ელ. ენერგიის მომსახურების ღირებულება | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების სისტემის შეუფრხებელი ფუნქციონირება. | |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია | 2024 წლის დაფინანსება |
|---|---|---|---|
| | | | ათას ლარში |
| 02 03 02 | | | 368.7 |
| ქვეპროგრამის განმა<br><br>ხორციელებელი სამსახური | | ა(ა)იპ „კომუნალური 1" | |
| ქვეპროგრამის აღწერა | | ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულის გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება. დღეის მდგომარეობით სიღნაღის მუნიციპალიტეტის მთლიან ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტში) 20000ათასამდე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს, ამისთვის ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:<br>- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა;<br>- დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთება. | |

| | |
|---|---|
| | პროგრამა არ მოიცავს გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის<br><br>ხარჯის ანაზღაურებას, განათების ბოძების ჩაყრას და დაზიანებული ბოძების შეცვლას.<br><br>პროგრამა მოიცავს აღნიშნულ სფეროში დასაქმებული ადამიანების შრომის ანაზღაურებას. |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემის ფუნქციონირება გამართულად.<br><br>პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების აღმოფხვრა დროულად. |

| კოდი | პროგრამის დასახელება | კანალიზაციის სისტემის განვითარება | 2024 წლის დაფინანსება |
|---|---|---|---|
| | | | ათას ლარში |
| 02 02 02 | | | 93.0 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ ,,კომუნალური 1“ | | |
| პროგრამის აღწერა | პროგრამით განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების მოწყობა რეაბილიტაცია, რათა დაცული იყოს მოსახლეობა უხვი ნალექების პირობებში ეზოების დატბორვისგან და კომფორტულს გახდის აღნიშნული გზით მოსარგებლე მოსახლეობის გადადგილებასა. პროგრამა ფინანსდება ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან. | | |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | შეკეთებული სანიაღვრეები,შექმნილი ეკოლოგიურად სუფთა გარემო და კმაყოფილი მოსახლეობა | | |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ექსპერტიზის ხარჯები | 2024 წლის დაფინანსება |
|---|---|---|---|
| | | | ათას ლარში |
| 02 08 | | | 720.0 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და მეგლთა დაცვის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა | პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული პროექტების შედგენა, საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად, დოკუმენტების კომპლექსში სრულად მოცემულია პროექტის არსი და მისი მიმართულებისა და რეალიზაციის დასაბუთება, ასევე ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო -სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა, ამასთან იმ ხელშეკრულებაზე, რომელთა ღირებულება არ აღემატება 50.0 ათას ლარს, პროექტის შემდგენი ახორციელებს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზას პროგრამის ფარგლებში, ასევე ფინანსდება 50.0 ათას ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურეობის) სამუშაოების შესყიდვა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, ასევე პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით.<br><br>ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დროულად და კვალიფიციურად მომზადება. | | |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | სწორი საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა, შესასრულებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი ისე, რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშნებლო ნორმებს (სტანდარტებს). | | |

| | |
|---|---|
| | |

| კოდი | პროგრამის დასახელება | დასუფთავება და ნარჩენების გატანა | 2024 წლის დაფინანსება |
|---|---|---|---|
| | | | ათას ლარში |
| 03 01 | | | 1,208.3 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ ,,კომუნალური 1“ | | |
| პროგრამის აღწერა | სიღნაღის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიბების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. შეძენილია ნაგავმზიდი მანქანები და ნაგვის ურნები.<br>ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება ნაგვის გამზიდი მანქანები ხორციელდება მუნიციპალიტეტის მთლიან ტერიტორიაზე. შეგროვებული ნარჩენები გადის ნაგავსაყრელებზე.<br>პროგრამის ფარგლებში დაფინანსება ეხება ადმინისტრაციულ ხარჯებს, მათ შორის, ხელშეკრულებით აყვანილ პერსონალის (მეეზოვეები, მძღოლები, ზედამხედველები და სხვა) ხელფასებს. | | |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება ქ. სიღნაღის, წნორის და სოფლების დასუფთავება, ნარჩენების გატანა. იქმნება ეკოლოგიურად ჯანსაღი გარემო. | | |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში | 2024 წლის დაფინანსება |
|---|---|---|---|
| | | | ათას ლარში |
| 03 01 01 | | | 237.7 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერია | | |
| პროგრამის აღწერა | სიღნაღის მუნიციპალიტეტში დასუფთავება ერთ-ერთ მნიშვნელოვანი პრიორიტეტია .შეძენილი ნაგავმზიდი მანქანები, საქართველოს მთავრობის 15.09.23 წ. #1640 განკარგულებით ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტში საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეუფერხებლად გატანის მიზნით მიმდინარე წელს დაფინანსდა ნაგავმზიდი მანქანის მთლიანი ღირებულების 40% -158.472 ლარი, 60%-237.700 ლარი დაგეგმილია 2024 წლის ბიუჯეტში. | | |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | დასუფთავებული მუნიციპალიტეტი და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა | | |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება | 2024 წლის დაფინანსება |
|---|---|---|---|
| | | | ათას ლარში |
| 03 02 | | | 181.8 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ ,,კომუნალური 1“ | | |

| | |
|---|---|
| პროგრამის აღწერა | ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების დაცვა, მოვლის ღონისძიებები, რომელსაც ა(ა)იპ სიღნაღის დასუფთავების შესაბამისი განყოფილება უზრუნველყოფს:<br>განყოფილება ახდენს არსებული სკვერების გაწმენდა- დასუფთავებას.<br>პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ხელშეკრულებით აყვანილ პირთა ხელფასებიც.<br>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობა (ქ. წნორის პარკის დაცვის მომსახურეობა), სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე ტარდება მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიები, ნიადაგის მომზადება, დასუფთავება, ერწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვლა და საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა.<br>პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება ქალაქ სიღნაღის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი ღონისძიებები.<br><br>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ასევე სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების მოვლა-პატრონობა.<br>სასაფლაოების გაწმენდა, გასუფთავება, მოცელვა და შესაწამლი სამუშაოების შესრულება.<br>პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ხელშეკრულებით აყვანილ პირთა ხელფასებიც. |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე დაირგვება ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავები; მოხდება მათი მორწყვა, შხამ ქიმიკატების შეტანა და ნიადაგის გაფხვიერება.<br>განხორციელდება ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და გზის ნაპირის გაცელვითი სამუშაოები. |

## მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 3,811.0 ათასი ლარი. განათლების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარებში

| პროგრამული კოდი | დასახელება | რიცხოვნობა | 2024 წელი | 2025 წელი | 2026 წელი | 2027წელი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 04 00 | განათლება | 359 | 3,811.0 | 4,140.0 | 4,645.0 | 4,950.0 |
| 04 01 | ა(ა)იპ ,,სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება“ | 343 | 3,697.1 | 4,000.0 | 4,500.0 | 4,800.0 |
| 04 02 01 | ააიპ ,,სიღნაღის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი“ | 16 | 110.0 | 140.0 | 145.0 | 150.0 |
| 04 03 | სკოლამდელი განათლების კაპიტალური ხარჯი | 0.0 | 3.8 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 04 04 | საჯარო სკოლების დაფინანსება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

| კოდი | პროგრამის დასახელება | სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება | 2024 წლის დაფინანსება |
|---|---|---|---|
| | | | ათას ლარში |
| 04 01 | | | 3,697.1 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | ა(ა)იპ ,,სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება“ | |
| | | საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე | |

| | |
|---|---|
| პროგრამის აღწერა | აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება.<br>შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. სიღნაღის  მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბაგა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში სულ 920 სკოლამდელი ასაკის ბავშვია რეგისტრირებული, ტერიტორიაზე განთავსებულ 24 საბავშვო ბაღში დღეის მდგომარეობით შესაძლებელია 1300 ბავშვის სწავლება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 24 საბავშო ბაღი, რომლის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ააიპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საღმზრდელო დაწესებულება. სულ სკლომადელ დაწესებულებებში დასაქმებულია 332 თანამშრომელი, მათ შორის 66 აღმზრდელი და 53 თანაშემწე.  ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში  მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი  სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სკოლამდელი ასაკი ბავშვების სკოლისთვის მზაობა: სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება. ბაგა-ბაღების პერსონალის  შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება.<br>ბაგა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის  მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით დამტკიცებული „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები“;<br>ბაგა-ბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისაობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;<br>ბაგა-ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;<br>ბაგა-ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;<br>ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა–შენახვა;<br><br>დაიგეგმა ჰასპის პროგრამა.<br>ბაგა-ბაღებში და გაერთიანების ადმინისტრაციაში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობებისა და სახელფასო ანაზღაურების გაუმჯობესება. |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | შესაფერისი უნარჩვევებით უზრუნველყოფილი მუნიციპალიტეტში მცხოვრები სკოლამდელი ასაკის ბავშვები. |

| კოდი | პროგ<br>რამის დასა<br>ხელება | პროფესიული განათლების ხელშეწყობა | 2024 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 04 02 01 | | | 110.0 |
| პროგრამის განმახორ<br>ციელებელი სამსახური | | ა(ა)იპ ,,სიღნაღის მუნიციალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი | |
| | | პროგრამის მიზანია<br><br>**თითოეული ბავშვისა და ახალგაზრდისათვის განათლებისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობების, კ**<br><br>**ეთილსაიმედო სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფა, თითოეული ბავშვისა და ახალგაზრდის**<br><br>**მიერ საკუთარი საგანმანათლებლო, შემოქმედებითი, საზოგადოებრივი ინიციატივების გამოვლენა, მოსწავლეთა ინტელექტუალური**<br><br>**განვითარების, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების სწავლების და თანაბარ**<br><br>**კონკურენტულ გარემოში ახალგაზრდების შესაძლებლობების რეალიზების ხელშეწყობა;** | |

| | |
|---|---|
| პროგრამის აღწერა | **მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში ფუნქციონირებად სხვადასხვა წრეებში გაერთიანებული**<br>**192 მოსწავლისათვის საჭირო პირობებით უზრუნველყოფა, დაწესებულებაში დასაქმებული**<br>**პედაგოგების ხელფასების დაფინანსება  და ხელშეწყობა;**<br><br>მოსწავლეების პროფესიული დაოსტატებისა და საზოგადოებრივ შრომით საქმიანობაში ჩართულობა,<br>ასევე ხელშეწყობა მოსწავლეთა გონივრული დასვენებისა და თავისუფალი დროის სწორად გამოყენებისათვის. .<br>სკოლისგარეშე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირი წარმართავს სასწავლო აღმზდელობით<br>მუშაობას 6-დან 18 წლამდე ასაკის მოსწავლეებთან.<br><br>2. თანამშრომლობს სკოლასთან, სკოლისგარეშე   დაწესებულებებთან, ოჯახთან, საზოგადოებასთან<br>ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:<br>ა) ეწევა ფართო მასობრივ კულტურულ საგანმანეთლებლო მუშაობას მოსწავლე ახალგაზრდებს შორის,<br>ხელს უწყობს საქმიანობის სხვადახსვა მიმართულებით<br>გაშლას.<br>ბ) აყალიბებს და ავითარებს ბავშვთა და მოზარდთა ინტერესებსა და მიდრეკილებებს, ხელს<br>უწყობს მათი პიროვნების ყოველმხრივ განვითარებას.<br>3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირი თავის საქმიანობას წარმართავს სკოლისგარეშე<br>მუშაობისადმი წაყენებული მოთხოვნების, მასობრიობის, ნებაყოფილობით, ბავშვებისა და<br>მოზარდების მიერ საქმიანობის სახეების თავისუფალი არჩევისა და დამოუკიდებლობის<br>გათვალისწინებით. თითოეულ მოსწავლეს უფლება აქვს ჩაებას სხვადასხვა პროფილის წრეში.<br>ორგანიზაციაში მუშაობს მრავალი დასახელების წრე   ესენია:<br>უცხო ენა  ინგლისური 2 ჯგუფი<br>გონებამახვილთა 1 ჯგუფი<br>ბიოლოგია 1 ჯგუფი<br>ქართული ლიტერატურის 3 ჯგუფი<br>მათემატიკის 2 ჯგუფი<br>ხატვის 2 ჯგუფი<br>კულინარიის 1 ჯგუფი<br>რუსულის 1 ჯგუფი<br>მხატრული კითხვის 1 ჯგუფი<br>ფსიქოლოგიის 1 ჯგუფი<br>ქსოვის 1 ჯგუფი |

| | |
|---|---|
| | წრეები მიზნად ისახავს მოსწავლეთა აზროვნებისა და ზოგადსაგანმანათლებლო<br><br>მსოფლმხედველობის განვითარებას. წრეები მოსწავლეებს ეხმარება თავისუფალ აზროვნების განვითარებაში.<br><br>წრის მიზანია საკუთარი არგუმენტების ნათლად ჩამოყალიბება, უნარ- ჩვევების და ცოდნის პრაქტიკულად<br><br>გამოყენების ხელშეწყობა, სასწავლო საგნისადმი მეტი ინტერესის გაღვიძება. კლასგარეშე მუშაობები<br><br>მოსწავლეში აღძრავს სწავლისადმი ინტერესს, კლასგარეშე აქტივობებში მონაწილეობისას, ბავშვებს<br><br>სხვადასხვა უნარის აღმოჩენის, საკუთარ ძალებში დარწმუნების, ახალი მეგობრების შეძენის და თანატოლებთან<br><br>ურთიერთობის საშუალება ეძლევათ.<br><br>**თითოეული ბავშვისა და ახალგაზრდისათვის განათლებისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობების,**<br><br>**კეთილსაიმედო სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფა, თითოეული ბავშვისა და ახალგაზრდის მიერ**<br><br>**საკუთარი საგანმანათლებლო, შემოქმედებითი, საზოგადოებრივი ინიციატივების გამოვლენა,**<br><br>**მოსწავლეთა ინტელექტუალური განვითარების, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული**<br><br>**საგნების სწავლების და თანაბარ კონკურენტულ გარემოში ახალგაზრდების შესაძლებლობების რეალიზების ხელშეწყობა;** |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | მოსწავლეთა პიროვნული და თავისუფალი შემოქმედებითი აზროვნების განვითარება.<br><br>აუმაღლდეს აზროვნება, მსჯელობისა და არგუმენტირების უნარ-ჩვევები, შეექმნას და<br><br>გაუმყარდეს საფუძველი პროფესიის არჩევის, დაოსტატებისა და საზოგადოებრივ შრომით<br><br>საქმიანობაში აქტიურად ჩართვისათვის. გამოვლინდებიან ეროვნულ საგნობრივ<br><br>ოლიმპიადებში გამარჯვებული მოსწავლეები და სკოლები, მოსწავლეების მოტივაციის დონის ამაღლება. |

| კოდი | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების ხელშეწყობა | 2024 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 04 03 | | | 3.8 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | სკოლამდელი განათლების კაპიტალური ხარჯი | |
| პროგრამის აღწერა | | პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლებში საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია, რომელსაც ძირითადად აფინანსებს სახელმწიფო ბიუჯეტი. ადგილობრივი ბიუჯეტით კეთდება საბავშვო ბაღების სველი წერტილების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ეზოს კეთილმოწყობა, ასევე ხელს შეუწყობს მოზარდთა სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესებას. |  |

| | |
|---|---|
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | სკოლამდელი აღსაზრდელების კომფორტულ გარემოში ყოფნა და კმაყოფილი მოსახლეობა. |

**მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი**

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება.

| პროგრამული კოდი | დასახელება | რიცხოვნობა | 2024 წელი | 2025 წელი | 2026 წელი | 2027 წელი |
|---|---|---|---|---|---|---|
| **05 00** | **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი** | | **3,117.6** | **3,175.0** | **3,290.0** | **4,505.0** |
| **05 01** | **სპორტის განვითარების ხელშეწყობა** | | **976.1** | **680.0** | **1,070.0** | **1,150.0** |
| 05 01 01 | ა(ა) იპ „სიღნაღის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრი“ | 46 | 605.4 | 500.0 | 550.0 | 600.0 |
| 05 01 02 | სასპორტო სკოლის კაპიტალური ხარჯი | | 370.7 | 480.0 | 520.0 | 550.0 |
| **05 02** | **კულტურის განვითარების ხელშეწყობა** | | **2,141.0** | **2,495.0** | **2,220.0** | **2,360.0** |
| 05 02 01 | კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა | 244.0 | 1,681.5 | 1,980.0 | 1,650.0 | 1,755.0 |
| 05 02 01 06 | რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა | | 20.0 | 20.0 | 20.0 | 20.0 |
| **05 02 01 07** | **საინფორმაციო ცენტრი** | | **40.0** | **45.0** | **50.0** | **60.0** |
| **05 02 01 08** | **სახელოვნებო სკოლების კაპიტალური ხარჯი** | | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| **05 02 01 08** | **საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა** | | **400.0** | **450.0** | **500.0** | **520.0** |
| | | | | | | |
| | | | | | | |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | სპორტის განვითარების ხელშეწყობა | 2024 წლის დაფინანსება |
|---|---|---|---|
| | | | ათას ლარში |
| 05 01 01 | | | 605.4 |
| ქვეპროგრამის | | | |

| | |
|---|---|
| განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ ,,სიღნაღის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითრების ცენტრი“ |
| ქვეპროგრამის აღწერა | სპორტის პოპულარიზაციისთვის და ჯანსაღი თაობის აღზრდისთვის საჭიროა შიდა ღონისძიებების ჩატარება, იგეგმება ქართული ჭიდაობის, ძიუდოს, რაგბის, ფეხბურთის, ჭადრაკის და კალათბურთის ტურნირების ჩატარება საქართველოს მაშტაბით, მოწვეული იქნებიან აღნიშნულ სახეობის გამოჩენილი სპორტსმენები, იქნება დაჯილდოვება მედლებით, თასებით და დიპლომებით. პროგრამის მიზანია, ხელი შევუწყოთ მუნიციპალიტეტში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, სპორტული  ცხოვრების დონის ამაღლებასა და სპორტში ჩართულობის გაზრდას, მათ შორის ინტეგრირებული და ექსტრემალური სპორტის მხარდაჭერასა და განვითარებას. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში სპორტი თანდათან ხდება პოპულარული, რაც გამოიხატება მოსახლეობაში ჯანმრთელობის   მდგომარეობის გაუმჯობესებით, დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში ტარდება სხვადასხვა სპორტული აქტივობები, სადაც საშუალოდ იღებს მონაწილეობას 3000 ადამიანი, ფუნქციონირებს სხვადასხვა სექცია: როგორიცაა ფეხბურთი, კალათბურთი, ჭიდაობა, ჭადრაკი, აღმოსავლური ორთაბრძოლა, კიკბოქსინგი, ძალისმიერი სამჭიდი, რაგბი, ფრენბურთი. ამ სექციებში სულ რეგისტრირებულია 600 მოზარდი,  რაც მუნიციპალიტეტის მთლიანი მოსახლეობის 2 პროცენტია, დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში არის სულ ძალისმიერი სამჭიდის 1 სახეობა.  ჩართულია 25 მოზარდი და წარმატებული სპორტსმენი. ჩვენი მიზანია უფრო და უფრო მეტი აღსაზრდელი მოვიზიდოთ და ჩავრთოთ ამ მიმართულებით, რისთვისაც საჭირო ადგილობრივი და გასვლით შეჯიბრებებში მონაწილეობის მიღება, დაინტერესების მიზნით სხვადასვა საპრიზო ფონდების შექმნა, სტიპენდიების დანიშვნა, წარმატებული ტრენერების წახალისება თუ მათი აღსაზრდელები მიაღწევენ სახვადსხვა წარმატებებს. მუნიციპალიტეტში არის სულ კიკბოქსინგის 3 და კრივის 2 სექცია, სადაც ჩართულია 100 მოზარდი. ჩვენი მიზანია უფრო და უფრო მეტი ახალგაზრდა მოვიზიდოთ, არის ჭადრაკის 1 სექცია, სადაც ფუნქციონირებს 25  მოზარდი. არის 3 კალათბურთის სექცია, ჩართულია 60 მოზარდი.  ფეხბურთის 7 სექცია, სულ ჩართულია 250 მოზარდი.  რაგბის  2  სექცია,  ჩართულია 40 მოზარდი, ფრენბურთის 1  სექცია,  ჩართულია 10 მოზარდი.<br>სპორტის პოპულარიზაციისთვის და ჯანსაღი თაობის აღზრდისთვის საჭიროა შიდა ღონისძიებების ჩატარება, იგეგმება ქართული ჭიდაობის, ძიუდოს, რაგბის, ფეხბურთის, ჭადრაკის და კალათბურთის ტურნირების ჩატარება საქართველოს მაშტაბით, მოწვეული იქნებიან აღნიშნულ სახეობის გამოჩენილი სპორტსმენები, იქნება დაჯილდოვება  მედლებით, თასებით და დიპლომებით |
| ვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | მუნიციპალიტეტში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, სპორტული  ცხოვრების დონის ამაღლება და მოსახლეობის სპორტულ აქტივობებში ჩართულობის გაზრდა. |

| | | | |
|---|---|---|---|
| კოდი<br><br>05 02 01 04 | ქვეპროგრამის დასახელება | კულტურის ღონისძიებები | 2024 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში<br>833.5 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | ა(ა)იპ ,, სიღნაღის მუნიციპალიტეტის  კულტურის და ხელოვნების ცენტრი“ | |
| ქვეპროგრამის აღწერა | | 1. პროგრამის მიზანია :  კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და მოსახლეობის კულტურული დონის ამლღება. კულტურული თვითმყოფადობის გაცნობიერებისა და გაღრმავების ხელშეწყობა, განათლების დონის, ინტელექტისა და კულტურის ამაღლება, კულტურის სფეროს დარგების განვითარება და მათი პოპულარიზაცია,  რათა  გაიზარდოს კულტურულ შემოქმედებითი  და აღმზრდელობითი მუშაობა, მოხდეს მათი წარმოჩენა და პოპულარიზაცია კონკურსებსა თუ ფესტივალებზე,  როგორც ქვეყნის შიგნით,  ასევე  გარეთ. შემოქმედებითი პროცესების სტიმულირება. პროგრამის მიზანია,  კულტურული ღონისძიებები  მეტად იყოს წარმოდგენილი სხვადასხვა მიმართულებით  ( თეატრალური, ფოლკლორული, ქორეოგრაფიული და ამ მიმართულებით მეთოდური მუშაობა), ასევე  ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში  მეტი ინტერესთა ჯგუფის და მოქალაქეების ჩართულობის უზრუნველყოფა და ამ მიზნით მათთან შეხვედრების ორგანიზება. ასევე  ღონისძიებების   აუდიტორიის გაზრდა, მათი ინფორმირებულობის ამაღლების გზით და ა. შ. მუნიციპალიტეტში არსებული კულტურის ობიექტების შენარჩუნება და რეაბილიტაცია, გაზრდის ამ სფეროთი დაინტერესებულ  მოსახლეობის  დონის  ხელმისაწვდომობას და წარმოჩენას, რაც მნიშვნელოვნად  შეუწყობს ხელს სოფლებში მოსახლეობის დამკვიდრებას და მოზიდვას.    ა(ა)ი.პ. სიღნაღის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების  ცენტრის დაქვემდებარებაშია  :  ცხრა კულტურის სახლი:  ვაქირის, საქობოს, წნორის, ბოდბისხევის, ძვ. ანაგის, ქვ.მაჩხაანის, ერისიმედის,  ქვ.ბოდბის. მიუხედავად მძიმე მატერიალურ ტექნიკური ბაზისა   მაინც მიმდინარეობს | |

| | |
|---|---|
| | სხვადასხვა სახის წრეობრივი მუშაობები, როგორიცაა: ხალხური რეწვა, თექაზე მუშაობა, სხვადასხვა სახის მუსიკალური საკრავებზე შემსწავლელი წრეობრივი მეცადინეობები და სხვა. სადაც გაერთიანებულია 40 დან 50 მდე დაინტერესებული ადამიანი. მუნიციპალური თეატრი, თეატრის დასი დაკომპლექტებულია 16 თანამშრომლით, 12 მსახიობი, რადისტი, სცენის მენეჯერი, გარდერობის გამგე, თეატრის კონსულტანტი. დროდადრო მიმდინარეობს ძველი სპექტაკლების განახლება და ახალ სპექტაკლზე მუშაობა. მუნიციპალური თეატრი წელიწადში რამოდენიმეჯერ მიწვეულნი არიან სხვადასხვა ქვეყანაში ფესტივალებზე, სადაც უწევთ შეხვედრები ემიგრაციაში მყოფ ქართველებთან. ფოლკლორული ანსამბლები: ,,მრავალჟამიერი", სადაც გაერთიანებულია რვა მომღერალი, რომლებიც თვაიანთი რეპერტუარით და საშემსრულებლო ოსტატობით, დიდ მოწონებას იმსახურებს. გოგონათა ანსამბლი ,,ვაქირელების" მუშაობა ემსახურება მოზარდი თაობის აღზრდას, სადაც გაერთიანებულია 25 დან 35 მოზარდი. ქორეოგრაფიული ანსამბლები: ,,ლაშქრული" შედგება 20 მოცეკვავისგან, ხელმძღვანელი, ქორეოგრაფი და ორი მუსიკოსისაგან. ,,ათინათი'' - ში კი გაერთიანებულია 35 ბავშვი. ზემოთ ჩამოთვლილი ანსამბლები მონაწილეობას იღებენ, როგორც რეგიონის ფარგლებში დაგეგმილ კულტურულ ღონისძიებებში, ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთ. |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებული ქართული ხალხური სიმღერის ფოლკლორული ანსამბლის ,,მრავალჟამიერის“, გოგონათა ანსამბლი ,,ვაქირელები“, ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,ლაშქრული“, ბავშვთა ხალხური სიმღერებისა და ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლების სხვადასხვა ფესტივალებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება, როგორც ქვეყნის მასშტაბით, ისე ქვეყნის გარეთ.<br><br>ახალი სპექტაკლების რაოდენობის ზრდა და ხარისხობრივი მაჩვენებელი და მუნიციპალიტეტის ხელოვანთა მიღწევები. |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა | 2024 წლის დაფინანსება |
|---|---|---|---|
| | | | ათას ლარში |
| 05 02 01 02 | | | 366.0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | ა(ა)იპ ,,სიღნაღის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო და საგანმანათლებლო მომსახურეობის ცენტრი“ | |
| ქვეპროგრამის აღწერა | | ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 9 მუნიციპალური მუზეუმი, 20 ბიბლიოთეკა<br>მუნიციპალურ მუზეუმებში დღეის მდგომარეობით განთავსებულია 18622 ექსპონატი. წლის განმავლობაში ვიზიტორთა რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 2040-ს.<br>მუნიციპალიტეტის 20 ბიბლიოთეკაში წიგნის ფონდი შეადგენს 306881 ერთეულს. ბიბლიოთეკების მომსახურებით სარგებლობს მუნიციპალიტეტის დაახლობით 3814 მოსახლე.<br>საბიბლიოთეკო ფონდების შეგროვება, აღრიცხვა–დამუშავება და საკატალოგო მეურნეობის წარმოება საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად, მათი დაცვის უზრუნველყოფა;<br>კულტურულ–საგანმანათლებლო და სამეცნიერო–ინფორმაციული ღონისძიებების, საკლუბო შეხვედრების, სპეციალიზირებული სემინარების და ტრენინგების მომზადება–ჩატარება, გამოფენების მოწყობა, საინფორმაციო ბაზის შექმნა და სრულყოფა;<br>საბიბლიოთეკო საქმიანობის წარმოება საერთაშორისო სტანდარტების და სახელმწიფო კანონმდებლობის შესაბამისად. მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში ინფრასტრუქტურული სამუშაოების ჩატარება. სამუზეუმო ექსპონატების აღწერა, საინვენტარო წიგნში გატარება, დაცვა, მოვლა-პატრონობა. ასევე მუზეუმების ფონდების აღრიცხვა-დამუშავება, კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ინფორმაციული ღონისძიებების, საკლუბო შეხვედრების<br>ორგანიზება.<br>ახალგამოცემული წიგნების წარდგენები, ლიტერატურული საღამოები, შემეცნებითი დისკუსიები, ცნობილი მწერლების დაბადების დღისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოები, გურჯაანში მოღვაწე შემოქმედ, ღვაწლმოსილ და ცნობილ პიროვნებებთან შეხვედრები, ღირსშესანიშნავი თარიღებისადმი მიძღვნილი საღამოები ,,ბიბლიოთეკის კვირეული, ლექციები, კონფერენციები, სემინარები, საშობაო–საახალწლო შეხვედრები, მხატვრული, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმების ჩვენებები, საკლუბო შეხვედრები.<br>მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების ხელშეწყობა, წიგნადი ფონდის შევსება თანამედროვე | |

| | |
|---|---|
| | ლიტერატურით და დაკომპლექტება ყველა ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით. ბიბლიოთეკების მართვის თანამედროვე პრინციპების დანერგვა და მომხმარებლებისათვის გაუმჯობესებული სერვისების შეთავაზება, საბიბლიოთეკო კვირეულის ჩატარება, ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმის ხელშეწყობა, არსებული ექსპონატების დაცვა და მოსწავლე-ახალგაზრდობის აქტიურად ჩაბმა მუზეუმების კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში. |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | ბიბლიოთეკა-მუზეუმების შეუფერხებელი მუშაობა. მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, ჩართულობისა და დაინტერესების ზრდა. საბიბლიოთეკო ფონდის ზრდა. ა(ა)იპ-ის მთავარი მიზანია რომ დავაინტერესოთ მკითხველი და ავამაღლოთ ცნობიერების დონე. მეტი ტურისტი გვყავდეს მუზეუმებში, რაც გაზრდის საკუთარ შემოსავლს. |

| კოდი<br><br>05 02 01 05 | ქვრპროგრამის დასახელება | სამუსიკო სკოლების განათლების ხელშეწყობა | 2024 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში<br>482.0 |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | ააიპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო (სამუსიკო) სკოლების გაერთიანება | |
| ქვეპროგრამის აღწერა | | მუნიციპალიტეტის მასშტაბით ა ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სამუსიკო (სახელოვნებო) სკოლების გაერთიანებაში არის სიღნაღის ხელოვნების სასწავლებელი (თერთმეტწლედი), რომელშიც შედის საფორტეპიანო, საგუნდო-სადირიჟორო, საორკესტრო და ხალხურ საკრავთა განყოფილებები, 4 სამუსიკო სკოლა (ექვსწლედი) წნორის, ვაქირის, ტიბაანის, მაღაროს და ასევე ტრადიციული მუსიკის და სახვითი ხელოვნების განყოფილებები. სიღნაღის ხელოვნების სასწავლებელს აქვს ფილიალი სოფ. ნუკრიანში და სოფ. ანაგაში. მაღაროს სამუსიკო სკოლას სოფ ქვემო ბოდბეში. ტიბაანის სამუსიკო სკოლას სოფ. ძველ ანაგასა და ხირსაში. სკოლების საერთო კონტინგენტია 578 მოსწავლე. მათ აღზრდას ემსახურება 70 პედაგოგი. სკოლებში არსებული მუსიკალური ინსტრუმენტები არ შეესაბამება მოთხოვნებს, განსაკუთრებით საჭიროა საკონცერტო როიალის შეძენა. საჭიროა განახლდეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის საჭიროა შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე; ფასიანი, საქველმოქმედო ღონისძიებების მოწყობა; მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, ფორუმებში, როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ. პროგრამა მოიცავს სახელოვნებო განათლების ღონისძიებებს, რომლებიც ორიენტირებულია, როგორც სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობაზე, ისე სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების მხარდაჭერაზე, მათ შორის: სასწავლო-შემოქმედებითი კუთხით პერსპექტიულ მოსწავლეთა სწავლის ხელშეწყობაზე, საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილეობის მხარდაჭერაზე, პედაგოგთა ხელშეწყობაზე. | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | | მოსწავლეთა კლასიკური და თანამედროვე მიმართულების სამუსიკო განათლების მიღება, ბავშვების მომზადება სამომავლო შემოქმედებითი საქმიანობისათვის. შესაბამისი ნიჭით დაჯილდოებულ მოსწავლეთა წარმოჩენა და მათი აქტიური ჩართვა შესაბამისი განათლების მისაღებად; მოზარდებში კულტურის დონის ამაღლება, მოსახლეობის აქტიური ჩართვა კულტურულ ღონისძიებებში, ხელოვნებისა და ტრადიციების აღორძინება, კონკურსებში, ფესტივალებსა და სხვა ფორუმებში მიღწეული წარმატებები. | |

| კოდი<br><br>05 03 | პროგრამის დასახელება | საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების დაფინანსება | 2024 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში<br>400.0 |
|---|---|---|---|
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური. | |
| | | არაფორმალური განათლების ხელშეწყობა (ტრენინგ-სემინარები, ფორუმები, სესიები, | |

| | |
|---|---|
| პროგრამის აღწერა | ინტელექტუალურ-შემეცნებითი, გასართობი თამაშები, შემოქმედებითი და საგანმანათლებლო კონკურსები და სხვა), შემოქმედი ახალგაზრდების შემოქმედების პოპულარიზაცია (გამოფენები, ლიტერატურული საღამოები, კონცერტები, ფესტივალები, სპექტაკლები და სხვა), ახალგაზრდული პროექტებისა და ინიციატივების დაფინანსება, ოქროსა და ვერცხლის მედალოსნების დაჯილდოვება, ახალგაზრდებისთვის ტრენინგების მოწყობა, საუკეთესო მასწავლებლების დაჯილდოვება, წარმატებული სპორტსმენების დაჯილდოვება, სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ჩატარება, შემოდგომის ფესტივალის მოწყობა, ახალგაზრდული საინფორმაციო ცენტრის ხელშეწყობა, ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება (ლაშქრობები, ექსკურსიები, შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, სპორტის ექსტრემალური სახეობების კვირეული, სეზონურად სპორტულ-გამაჯანსაღებელ ცენტრებში შეღავათების დაწესება და სხვა). 2020 წელს პროექტში ,,არსებული ახალგაზრდობის პრობლემების იდენტიფიცირება და საპროექტო წინადადებების წარდგენა'' გამოვლენილი ახალგაზრდული პრობლემების შესახებ საპროექტო წინადადებების მხარდაჭერა. |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | ხარისხობრივად და თვისობრივად მაღალ დონეზე განხორციელებული პროექტები, ახალგაზრდების მხრიდან თავისუფალი დროის შინაარსიანი და ეფექტური ხარჯვა და ახალგაზრდული ორგანიზაციების აქტივობების ზრდა, ახალგაზრდა თაობის აქტიურად ჩართვა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში, ვფიქრობთ, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება 18 წელს ზემოთ ახალგაზრდების გააქტიურება მუნიციპალიტეტში. |

| კოდი | პროგრამის დასახელება | საინფორმაციო ცენტრი | 2024 წლის დაფინანსება |
|---|---|---|---|
| | | | ათას ლარში |
| 05 02 01 07 | | | 40.0 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერია | | |
| პროგრამის აღწერა | პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპის, დემოკრატიის გზით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფას. რისთვისაც ერთ–ერთი საჭირო და მნიშვნელოვანი მექანიზმია მოსახლეობის ინფორმირება ადგილობრივი ხელისუფლების (როგორც წარმომადგენლობითი ისე აღმასრულებელი ორგანოს) მიერ მუნიციპალიტეტში გაწეული საქმიანობის შესახებ. მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების, პროგრამებისა და აქტივობების შესახებ სრული ინფორმაციის დროული გავრცელება. | | |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპის, დემოკრატიის გზით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა. | | |

**მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1,875.5 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

**სოციალური დაცვა**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებების უზრუნველყოფას. მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო კვებითა და ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრაციის, სამედიცინო მომსახურებაზე და მედიკამენტოზურ მკურნალობაზე

ხელმისაწვდომობაზე გაზრდის ხელშეწყობას და სხვა სოციალური პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

პროგრამა განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამებით:

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა | 2024 წლის გეგმა | 2025 წლის პროექტი | 2026 წლის პროექტი | 2027 წლის პროექტი |
|---|---|---|---|---|---|
| 06 00 | **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** | **1,604.6** | **1,740.0** | **1,833.5** | **1,883.5** |
| 06 01 | ჯანდაცვის პროგრამები | **270.6** | **272.0** | **275.0** | **280.0** |
| 06 01 01 | ა(ა)იპ ,,სიღნაღის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი“ | **270.6** | **272.0** | **275.0** | **2800** |
| 06 01 02 | ამბულატორიების რეაბილიტაცია | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| 06 02 | **სოციალური პროგრამები** | **1,334.0** | **1,465.5** | **1,558.5** | **1,603.5** |
| **06 02 01** | **ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა** | **519.0** | **538.0** | **543.0** | **548.0** |
| 06 02 01 01 | მოსახლეობის სამედიცინო დახმარება | 355.6 | 370.0 | 375.0 | 380.0 |
| 06 02 01 02 | შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა, უსინათლოთა, დაუნის სინდრომით და აუტიზმის სპექტრის მქონე პირთა, დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე პირების მატერიალური დახმარება | 121.0 | 125.0 | 125.0 | 125.0 |
| 06 02 01 03 | ონკოლოგიური ავადმყოფების სამედიცინო დახმარება | 20.0 | 20.0 | 20.0 | 20.0 |
| 06 02 01 04 | ფენილკეტონურიით, ცელიაკიით და სისხლის იშვიათი დაავადების მქონე ბავშვთა (18 წლამდე) დახმარება | 2.4 | 3.0 | 3.0 | 3.0 |
| 06 02 01 05 | შშმ პირთა სადღეღამისო ცენტრების კომუნალური გადასახადების (ბუნებრივი აირი) სუბსიდირება | 20.0 | 20.0 | 20.0 | 20.0 |
| 06 02 02 | **სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება** | **282.1** | **363.0** | **413.0** | **413.0** |
| 06 02 02 01 | ხანძრებისა და სტიქიური მოვლენებით მიყენებული ზარალისათვის ოჯახის დახმარება | 48.0 | 50.0 | 50.0 | 50.0 |
| 06 02 02 03 | იძულებით გადაადგილებულ პირთა (დევნილთა) სოციალური დახმარება | 3.0 | 3.0 | 3.0 | 3.0 |
| 06 02 02 04 | ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა სოციალური დახმარება | 10.0 | 10.0 | 10.0 | 10.0 |
| 06 02 02 05 | სხვა სოციალური ღონისძიებები | 241.1 | 300.0 | 350.0 | 350.0 |
| 06 02 02 09 | **სტუდენტების დახმარება** | **38.5** | **38.5** | **38.5** | **38.5** |
| 06 02 02 12 | **უსახლკაროდ დარჩენილთა სოციალური დაცვა (უსახლკაროთა ბინის ქირით უზრუნველყოფა)** | **26.4** | **30.0** | **30.0** | **30.0** |
| 06 02 04 | **ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა** | **78.0** | **78.0** | **78.0** | **78.0** |
| 06 02 04 01 | მარჩენალდაკარგულისა და მარტოხელა მშობლის სოციალური დახმარება | 5.0 | 5.0 | 5.0 | 5.0 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 06 02 04 02 | ოჯახებისა და ბავშვების დახმარება | 45.0 | 45.0 | 45.0 | 45.0 |
| 06 02 04 03 | კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარება | 20.0 | 20.0 | 20.0 | 20.0 |
| 06 02 04 04 | ერთ წლამდე ასაკის ბავშვისთვის ხელოვნური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა | 5.0 | 5.0 | 5.0 | 5.0 |
| 06 02 04 05 | ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება | 3.0 | 3.0 | 3.0 | 3.0 |
| 06 02 05 | **სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო მომსახურეობა** | **1.0** | **1.0** | **1.0** | **1.0** |
| 06 02 07 | **სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ყოველდღიური უფასო ერთჯერადი კვება** | **314.0** | **345.0** | **380.0** | **420.0** |
| 06 02 08 | **სოციალური მიზნის მქონე პროექტების დაფინანსება/ თანადაფინანსება** | **20.0** | **20.0** | **20.0** | **20.0** |
| 06 02 02 13 | **დაზიანებული საცხოვრებელი სახლის აღსადგენად ფინანსური დახმარება (მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა)** | **55.0** | **55.0** | **55.0** | **55.0** |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ჯანდაცვის პროგრამები | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 06 01 | | **270.6** |
| პროგრამის განმახორციელებელი | სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ჯანმრთელობისათვის ხელშეწყობა წარმოადგენს პროცესს, რომელიც მიმართულია ადამიანის მიერ საკუთარი<br><br>ჯანმრთელობის კონტროლისა და გაუმჯობესებისაკენ. მისი მიზანია ადამიანთა ფიზიკური და ფსიქიური<br><br>ჯანმრთელობის დაცვა, შენარჩუნება და აღდგენა დაავადებათა პრევენციის, მათი გავრცელების შესწავლისა და შესაბამისად კონტროლის, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობის გზით. აღნიშნულის ფარგლებში ფინანსდება ააიპ „სიღნაღის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“, რომლის მიზანია თვითმმართველობის დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის ხელშეწყობა, მოსახლეობისათვის ჯანმრთელობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებსა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგზე რეაგირება. | | |

| კოდი | ქვე პროგრამის დასახელება | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურეობა | **2024 წლის დაფინანსება** |
|---|---|---|---|
| | | | ათას ლარში |
| 06 01 01 | | | **270.6** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)ი.პ ,, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი“ | | |
| | | | |

| | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის აღწერა** | პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულებას, არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დავის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.<br>პროგრამ შედგება შემდეგი ქვეპროგრამებისაგან:<br>1 ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა) (მალარიისა და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი)<br>2 იმუნიზაციია.<br>3 ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა<br>4 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა. |
| **ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი** | მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება; მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება. |

| პროგრამის დასახელება | კოდი | **სოციალური პროგრამები** | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 06 02 | | **1,334.0** |
| როგრამის განმახორციელებელი | **სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური** | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამები ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა<br><br>ფენებისთვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის ხელშეწყობა. სოციალურად დაუცველი, მოწყვლადი ჯგუფების მუნიციპალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | **მოსახლეობის სამედიცინო დახმარება** | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 06 02 01 01 | | **355.6** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | **სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური** | | |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | აღნიშნული ქვეპროგრამით ისარგებლებენ სიღნაღის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ან/და მაცხოვრებელი მოსახლეობა 200 000-მდე სარეიტინგო ქულით, რომელთაც ესაჭიროებათ გამოკვლევები, ოპერაცია, მკურნალობა. მოქალაქეებს დახმარება გაეწევათ ერთჯერადად: დიაგნოსტიკური კვლევებისათვის, სტაციონარული (ოპერაცია, მკურნალობა) და სარეაბილიტაციო მკურნალობისათვის:<br><br>ა) 300 ლარამდე სრული ოდენობით;<br><br>ბ) 301 – 1001 ლარამდე არაუმეტეს 50%-ის ოდენობით;<br><br>გ) 1001- 1501ლარამდე 40%-ის ოდენობით;<br><br>დ) 1501 ლარიდან ზევით გადასახდელი თანხის 35%, მაგრამ არაუმეტეს 1000 ლარისა. |
| მოსალოდნელი შედეგი | ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის ხელშეწყობა |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | **შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა და მძიმე ქრონიკული დაავადების მქონე პირთა, უსინათლოთა, დაუნის სინდრომით და აუტიზმის სპექტრის მქონე პირთა, დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე პირების მატერიალური დახმარება** | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | 06 02 01 02 | | **141.0** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | **სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური** | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამა ითვალისწინებს:<br><br>ა) ყოველთვიურ მატერიალურ დახმარებას სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ან/და ფაქტობრივად მცხოვრებ დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე მოქალაქეებზე 100 ლარის ოდენობით;<br><br>ბ) მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატულ შშმ პირებს, ონკოლოგიური დაავადების მქონე პირებს (არ მოეთხოვებათ ცნობა ქულების შესახებ), ხოლო ქრონიკული დაავადების მქონე პირებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ უნდა აღემატებოდეს 180 000-ს, გაეწევათ ფინანსური დახმარება ერთჯერადად, არაუმეტეს 300 ლარისა;<br><br>გ) უსინათლოთა დახმარება განსაზღვრულია ერთჯერადად არაუმეტეს 200 ლარისა;<br><br>დ) შშმ ბავშვთა დღის ცენტრებისათვის, ბავშვთა და მოხუცთა თავშესაფრებისათვის სამეურნეო-საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის გასაცემი დახმარებას ერთჯერადად, არაუმეტეს 500 ლარის ოდენობით;<br><br>ე) მზრუნველობამოკლებულ, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პენსიონერთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ყოველთვიური თანადაფინასებას არაუმეტეს 250 ლარის ოდენობით;<br><br>საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლების მონაწილე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერანების ელექტროენერგიის საფასურის თანადაფინანსების თანხა თითოეულ ბენეფიციარზე ყოველთვე არაუმეტეს 15 ლარისა, რომელიც ჩაირიცხება სადისტრიბუციო კომპანიის „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიერ გაცემული აბონენტის ნომერზე. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | შშმ პირთათვის გაწეული დახმარება, ფინანსური რისკების შემცირება და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა. დიალიზის პროგრამით მოსარგებლეების მატერიალური უზრუნველყოფ, შშმ პირთა, ბავშვთა და მოხუცთა თავშესაფრების განვითარებისთვის ხელშეწყობა, ფინანსური მხარდაჭერა. | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | მოქალაქეების დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო მომსახურება | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | 06 02 01 | | 1.0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | მოქალაქეების დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო მომსახურება, რომელსაც არ ჰყავს მარჩენალი და დაკრძალვაზე პასუხისმგებელი პირი ანაზღაურდება არაუმეტეს 350 ლარისა. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | მოქალაქეების დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო მომსახურება | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ონკოლოგიური ავადმყოფების სამედიცინო დახმარება | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | 06 02 01 03 | | 20.0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში ისარგებლებენ სიღნაღის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ან/და მაცხოვრებელი მოქალაქეები, რომელთაც ესაჭიროებათ ონკოლოგიური დაავადებების დიაგნოსტიკური კვლევა, სტაციონალური (ოპერაცია, მკურნალობა) და ამბულატორიული მკურნალობა (ქიმიოტერაპია, ჰორმონოთერაპია და სხივური თერაპია):<br><br>ა) 300ლარამდე სრული ოდენობით;<br><br>ბ) 301 – 1001 ლარამდე არაუმეტეს 50%-ის ოდენობით;<br><br>გ) 1001 – 1501 ლარამდე 40%-ის ოდენობით;<br><br>დ) 1501 ლარიდან ზევით გადასახდელი თანხის 35%, მაგრამ არაუმეტეს 1000 ლარის ოდენობით.<br><br>ე) მედიკამენტოზური მკურნალობისთვის არაუმეტეს 400 ლარის ოდენობით.; | | |
| მოსალოდნელი შედეგი | ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაცია და ხელშეწყობა. | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ფენილკეტონურიით, ცელიაკიითა და სისხლის იშვიათი დაავადების მქონე ბავშვთა (18 წლამდე) დახმარება | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | 06 02 01 04 | | 2.4 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური | | |
| ქვეპროგრამის | ფენილკეტონურიით, ცელიაკიითა და სისხლის იშვიათი დაავადების მქონე დაავადებულ ბავშვთა 18 წლამდე დახმარება მოხდება წელიწადში ორჯერ, თითოეული მოთხოვნა დაფინანსდება არაუმეტეს 600 ლარის | | |

| | |
|---|---|
| აღწერა და მიზანი | **ოდენობით.** |
| მოსალოდნელი შედეგი | ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაცია და ხელშეწყობა |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | **შშმ პირთა სადღეღამისო ცენტრების კომუნალური გადასახადების (ბუნებრივი აირის) სუბსიდირება** | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | 06 02 01 05 | | **20.0** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მოხდება კომუნალური მომსახურების საფასურის სუბსიდირება,<br><br>ანაზღაურდება სადღეღამისო სპეციალიზებულ დაწესებულებებში მცხოვრები ბენეფიციარების<br><br>კომუნალური ხარჯები, ბუნებრივი აირი – გათბობის სეზონზე (15 ნოემბრიდან -15 აპრილამდე) თვეში<br><br>არაუმეტეს 30% , მაგრამ არაუმეტეს 700 მ$^3$, მრიცხველის ჩვენების მიხედვით; ანაზღაურება მოხდება<br><br>უნაღდო ანგარიშწორების ფორმით ბუნებრივი აირის სადისტრიბუციო კომპანიის საბანკო ანგარიშზე - ფაქტობრივი გაწეული ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციის (კომუნალური გადასახადის დამადასტურებელი ქვითრის) წარმოდგენის საფუძველზე სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | **ქვეპროგრამით გათვალისწინებულ ბენეფიციართათვის ყოფითი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა.** | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | **ხანძრებისა და სტიქიური მოვლენებით მიყენებული ზარალისთვის დახმარება** | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | 06 02 02 01 | | **48.0** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | **სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური** | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ხანძრებისა და სტიქიური მოვლენების შედეგად საცხოვრებელ სახლებზე მიყენებული ზარალისათვის დაზარალებულებს მიეცემათ ერთჯერადი ფულადი დახმარება დამდგარი ზიანის მიხედვით 30%-მდე, მაგრამ არაუმეტეს 5000 ლარისა, ხოლო დამხმარე ნაგებობებზე მიყენებული ზარალისთვის არაუმეტეს 500 ლარისა. მოქალაქემ მუნიციპალიტეტში უნდა წარადგინოს განცხადება მერის სახელზე დამდგარი ზიანიდან 10 კალენდარული დღის ვადაში. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | ფინანსური რისკების შემცირება და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება. | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | **უსახლკაროდ დარჩენილთა სოციალური დაცვა (უსახლკაროთა ბინის ქირით უზრუნველყოფა)** | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | 06 02 02 12 | | **26.4** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური | | |
| | სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები უსახლკაროდ დარჩენილი მძიმე ეკონომიკურ | | |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | პირობებში მცხოვრები ოჯახის დახმარება ყოველთვიურად, ბინის ქირის გადახდის სახით, თითოეულ ოჯახზე განისაზღვრა თვეში არაუმეტეს 200 ლარის ოდენობით. დახმარება გაეწევა სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ:<br><br>ა ) ოჯახს, რომელსაც ჰყავს არასრულწლოვანი ბავშვი ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე შვილი;<br><br>ბ )მარტოხელა, შრომისუუნარო, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომელთაც არ ყავთ მარჩენალი;<br><br>გ) სახელმწიფო ზრუნვიდან გასულ (მინდობით აღზრდა) ახალგაზრდებს 22 წლის ასაკის მიღწევამდე;<br><br>დ) უსახლკარო ძალადობის მსხვერპლ ოჯახებს. |
| მოსალოდნელი შედეგი | ქვეპროგრამით გათვალისწინებულ ოჯახების ფინანსური რისკების შემცირება, უზრუნველყოფილი არიან ქირის ოდენობის ანაზღაურებით. |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | იძულებით გადაადგილებულ პირთა (დევნილები) სოციალური დახმარება | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 06 02 02 | | **3.0** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | სიღნაღის მუნიციპალიტეტში მაცხოვრებელ იძულებით გადაადგილებულ პირებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 180 000-ს, განესაზღვრათ დახმარება არაუმეტეს 200 ლარის ოდენობით. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | დევნილთათვის ფინანსური რისკების შემცირება. | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა სოციალური დახმარება | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 06 02 02 04 | | **10.0** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | დახმარებას მიიღებენ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანები ერთჯერადად არაუმეტეს 200 ლარის ოდენობით. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | ვეტერანთათვის ფინანსური რისკების შემცირების ხელშეწყობა | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სხვა სოციალური ღონისძიებები | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 06 02 02 05 | | **241.1** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური | | |

| | |
|---|---|
| | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ერთჯერადი ფულადი დახმარება არაუმეტეს 400 ლარისა გაიცემა განსაკუთრებული საჭიროების მქონე შემდეგი კატეგორიის მოქალაქეებისათვის:<br><br>ა) ოჯახს, რომელთა სარეიტინგო ქულაც არ აღემატება 180 000-ს და იმყოფებიან მძიმე საცხოვრებელ პირობებში;<br><br>ბ) ოჯახს, რომელიც მომართვის მომენტში სხვადასხვა მიზეზების გამო განიცდის უკიდურეს გაჭირვებას და აქვს განსაკუთრებული საჭიროება (მათ შორის, უბედური შემთხვევა, ჯანმრთელობის გაუარესება-კლინიკიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციით), რაც დასტურდება მერის წარმომადგენლის მიერ შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულიდან გაცემული რეკომენდაციის საფუძველზე, ინდივიდუალურად, ყოველი კონკრეტული შემთხვევის არსებითად და ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე (არ საჭიროებს ცნობას სოც. სააგენტოდან ქულების შესახებ);<br><br>გ) მოქალაქეებს რომელთაც ბოლო ექვსი თვის განმავლობაში მინიჭებული აქვს მსხვერპლის სტატუსი, ან მის დასაცავად გაცემულია შემაკავებელი ორდერი (არ საჭიროებს ცნობას სოც. სააგენტოდან ქულების შესახებ).<br><br>ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწევა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 100 წლის და 100 წლის ასაკს გადაცილებულ მოქალაქეს მიეცემა ერთჯერადი დახმარება 300 ლარის ოდენობით დაბადების დღის აღსანიშნავად.<br><br>მრავალშვილიან ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ ოთხი და მეტი არასრულწლოვანი 18 წლამდე ასაკის შვილი და სოც.დაუცველთა ბაზაში მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა არაუმეტეს 180 000, დედის დღესთან დაკავშირებით მიეცემა ერთჯერადი დახმარება 200 ლარის ოდენობით.<br><br>სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მაცხოვრებელ მრავალშვილიან უსახლკარო მოქალაქეებს სიღნაღის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს საცხოვრებელი ფართის ქირის ანაზღაურებას ან თანადაფინანსებას თვეში არაუმეტეს 200 ლარის ოდენობით.<br><br>ყოველთვიური მატერიალური დახმარება გაეწევათ ოჯახებში რეინტეგრირებული ბავშვების, ნათესაური მინდობით აღზრდის პროგრამით მოსარგებლე ოჯახებს წელიწადში 4-ჯერ (კვარტალურად) 250 ლარის ოდენობით. |
| მოსალოდნელი შედეგი | ამ პროგრამით გათვალისწინებულ ბენეფიციართათვის გაწეული დახმარება სხვადასხვა საჭიროებებისათვის, ფინანსური რისკების შემცირება, სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა. |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სტუდენტების დახმარება | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 06 02 02 09 | | **38.5** |
| პროგრამის განმახორციელებელი | სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური | | |

| | |
|---|---|
| პროგრამის აღწერა და მიზანი | აკრედიტებულ/ავტორიზებულ სასწავლებელში სწავლის საფასურის თანადაფინანსება გაეწევათ:<br><br>ა) ობოლ სტუდენტებს, ან მრავალშვილიანი (რომელებსაც ჰყავთ ოთხი და მეტი) ოჯახის სტუდენტებს, რომლეთა ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 180 000-ს და გადასახდელი თანხა აქვთ არანაკლებ 600 ლარი, სრული გადასახდელი თანხის არაუმეტეს 50%, მაგრამ არაუმეტეს 1125 ლარი.<br><br>ბ) სოციალურად დაუცველ სტუდენტებს, რომლეთა ოჯახები განიცდიან უკიდურეს გაჭირვებას და მათი სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70001-ს.რომელთაც გადასახდელი თანხა აქვთ არანაკლებ 600 ლარი, სრული გადასახდელი თანხის 50%, მაგრამ არაუმეტეს 1125 ლარი.<br><br>სტუდენტის მაქსიმალური ასაკი განისაზღვრა 24 წლამდე. |
| მოსალოდნელი შედეგი | სტუდენტთათვის სწავლის ხელშეწყობა და ფინანსური რისკების შემცირება |

| | | | |
|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება | კოდი | **ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა** | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | 06 02 04 | | **78.0** |
| პროგრამის განმახორციელებელი | სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს ოჯახებისა და ბავშვების დახმარებას ახალშობილის შეძენასთან დაკავშირებით, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარება ტექნიკით უზრუნველყოფა, ერთ წლამდე ასაკის ბავშვებისთვის ხელოვნური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | ბავშვიანი ოჯახებისთვის ფინანსური რისკების შემცირების ხელშეწყობა. | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | **მარჩენალდაკარგულისა და მარტოხელა მშობლის სოციალური დაცვა** | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | 06 02 04 01 | | **5.0** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური | | |
| | სიღნაღის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ან/და ფაქტობრივად მაცხოვრებელი მარჩენალდაკარგული ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 180 000 -ს, მიიღებენ ფინანსურ დახმარებას არაუმეტეს | | |

| | |
|---|---|
| | 200 (ორასი) ლარის ოდენობით. |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | სიღნაღის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ან/და ფაქტობრივად მაცხოვრებელი მარტოხელა მშობელი, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 180 000 -ს, მიიღებენ ფინანსურ დახმარებას არაუმეტეს 200 (ორასი) ლარის ოდენობით. |
| მოსალოდნელი შედეგი | **მარჩენალდაკარგულთა და მარტოხელა მშობლისთვის ფინანსური რისკების შემცირების ხელშეწყობა.** |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ოჯახებისა და ბავშვების დახმარება | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 06 02 04 02 | | **45.0** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური | | |
